№ 189. 24 სეკტემბერი, შაბათი. 1866—1883 24 სეკტემბერი, შაბათი. № 189.

დროება

რედაქცია

გოლოვინის პროსპექტზე თავ. მუხრან-ბატონის სახლებში კლუბის ქვემოდ.

ხელის-მოწერა, მიიღება თბილისში «დროების» რედაქციაში, ქუთაისში, ჭილაძეების წიგნის მაღაზიაში. გარეშე მცხოვრებთათვის ადრესი: Въ Тифлисъ, въ редакцію «Дроэба»

«დროების» ფასი

მთელის წლისა . . 9 მან. | სამის თვისა. . . 3 მან.
ექვსის თვისა . . . 5 მან. | ერთის თვისა. . . 1 მან.

გამოდის ყოველ დღე ორშაბათს გარდა.

ფასი განცხადებისა

სტრიქონზე რვა კაპ. განცხადება მიიღება ქართულს, რუსულს და სხვა ენებზედ.

თუ საჭიროება მოითხოვს, რედაქცია გაასწორებს და შეამოკლებს დასაბეჭდად გამოგზავნილ წერილებს. დაუბეჭდავ წერილებს რედაქცია ვერ დაუბრუნებს ავტორს.

ცალკე ნომერი «დროებისა» ღირს 5 კაპეიკი

27 სექტემბერს, «დროების» რედაქცია გადავა ახალს სადგურში, სიმონსონოვის ქუჩაზედ, ნაზაროვის სახლში, პირველ კლასიკურ გიმნაზიის უკან.

მიიღება. ხელის-მოწერა გაზეთ

„დროებაზედ“

პირველის სეკტემბრიდამ წლის დამლევამდე. ფასი ოთხი მანათი.

სოფლის მასწავლებლებისათვის სამი მანათი.

«დროების» ნომრები თითო შაურად იყიდება, თბილისს გარდა:

ქუთაისში, ჭილაძის მაღაზიაში,

ბათუმში, ფეიქაროვის თამბაქოს მაღაზიაში,

დუშეთში, გაბო ბაშაროვთან.

გორში, საზოგადოების დეპოში, აღალო თუთაევთან.

აქვე მიიღება ხელის-მოწერა.

ტელეგრამები

(«ჩრდილოეთის სააგენტოსი».)

22 სექტემბერს.

სოფია. დეპუტატთა კრებამ გადასწყვიტა: სამხედრო მმართველობა ორ ნაწილად გაიყოს: ერთს ნაწილს მინდობილი ექნება ჯარების შენახვა და მეორე კი წმინდა სამხედრო ნაწილი იქნება; ჯარების შენახვის გამგეობა სამხედრო მინისტრს მიენდობა, ხოლო წმინდა სამხედროსი თითონ მთავარსი საკუთარ შტაბითურთ.

პეტერბურგი. გარეშე საქმეთა სამინისტროსთან არსდება კურსები აღმოსავლეთის ენების შესასწავლად. ეს კურსები დანიშნულია იმ ოფიცრებისათვის, რომელნიც გვარდიის პორუჩიკის და არმიის შტაბს-კაპიტანის ჩინზედ მაღლა არა სდგანან. კურს-გათავების შემდეგ ოფიცრები მოვალენი იქნებიან სამი წელიწადი მაინც იმსახურონ აზიის სამხედრო ოლქებში.

ბერლინი. აქ მოასვენეს ტურგენიევის ცხედარი. არავითარი სამგლოვიარო ცერემონია არა ყოფილა.

ბელგრადი. სკუპშჩინის სხდომები დაიხურა.

თბილისი, 23 სექტემბერს.

ამას წინად ჩვენ ვილაპარაკეთ სხვათა შორის იმ დაბრკოლების შესახებ, რომელიც აღმოუჩინეს ზოგიერთა პირებმა ქართულ წარმოდგენების გამართვას; ამ გარემოებას ჩვენ ბრალად ვსდებდით ერთს ადამიანს, რომელსაც ქაღალდი მიუწერია პოლიციის უფროსისათვის «დრამატიულ საზოგადოების» მმართველობის სახელობით შესახებ ქართულ წარმოდგენათა გამართვისა; იმ ერთის ადამიანის მოქმედება ჩვენ მივიჩნიეთ უკანონონოთ და უპატიოსნოთ. მხოლოდ იმავე საგნის შესახებ ჩვენ გვაქვს საშუალება უფრო დაბეჯითებით და ვრცლად მოვილაპარაკოთ, რადგანაც თვალ წინ გვიძევს ბ. კონსტანტინე ყიფიანის წერილი, გამოწვეული ჩვენის მოწინავე და ბ. მოხევეს წერილით და დაბეჭდილი «დროების» 185 №-ში. ბ. ყიფიანის წერილი ნათელსა ჰფენს საქმეს და ცხადად გვიხატავს, თუ როგორ ეკიდებიან საზოგადო საქმეს ზოგიერთა პირები, რომელნიც ვითომ გულწრფელად ემსახურებიან მას. იმავე წერილმა კიდევ უფრო განამტკიცა, ჩვენდა სამწუხაროდ, ჩვენი აზრი შესახებ ქართულის თეატრის საქმისა, რომელზედაც, ასე გასინჯეთ, თვით არა-კანონიერი მოქმედება აბრკოლებს, როგორც სხვა ყოველ გვარ ქართულს საქმეებსა.

ჩვენ მაშინვე ვსთქვით, რომ «დრამატიული საზოგადოების» მმართველობა ვერ ჩაიდენდა იმისთანა უგვანო მოქმედებას, როგორიც არის, მაგალითად, არა-კანონიერი ქაღალდის მიწერა ბ. პოლიციის უფროსთან, რომლითაც ეს უკანასკნელი ხელმძღვანელობს ამ ჟამად. მართლაც, როგორც სჩანს «დრამატიული საზოგადოების» მმართველობის სხდომის პროტოკოლიდამ (№ 24, 1882-სა წელსა, მარტის 18-სა), მმართველობას გადაუწყვეტია შემდეგი: «მიენდოს შედგენა დასისა და საერთოდ გამგეობა ქართულის თეატრისა და ყოველი წარმოდგენებისა თ. ილია ჭავჭავაძეს». ამ პროტოკოლზე ხელი აქვთ მოწერილი, თვით ბ. კ. ყიფიანის გარდა, ისეთ პატივ-საცემ პირთაც, როგორნიც არიან ილია ჭავჭავაძე, დავით ავალოვი და ნ. ჟანაშოვი. იმ ქაღალდზე კი, რომელიც პოლიციის უფროსს მისვლია, ხელი მოუწერია მხოლოდ კ. ყიფიანს და ამით აიხსნება ის განსხვავება, რომელიც მოიპოვება პროტოკოლისა და ყიფიანის მიერ პოლიციის უფროსისათვის მიწერილ ქაღალდს შორის, თუმცა უნდა კი ვაღვიაროთ, რომ ორივე ქაღალდი, ესე იგი, პროტოკოლი სხდომისა და თვით ბ. ყიფიანის ნაწარმოებიც, ჭკუაში მოსასვლელნი არ არიან. პროტოკოლიდამ მოყვანილი მუხლი გვიჩვენებს, რომ დრამატიულ საზოგადოების მმართველობას, თუმცა იგი შესდგება პატივსაცემ პირთაგან, არა სმენია კარგად არც «საზოგადოების» წესდება და არც თავისი მოვალეობა. წესდების ძალით «დრამატიულს საზოგადოებას უფლება აქვს, დრამატიული დასის შედგენის გარდა, დაეხმაროს დრამატიულ ხელოვნების წარმატებას» ყოველ გვარ საშუალებით და «ამასთანავე დაეხმაროს სამუდამო და შემთხვევით ქართულ წარმოდგენების გამართვას», და არა აქვს უფლება «გამგეობისა საერთოდ ქართული თეატრისა და ყოველ წარმოდგენებისა, რომელთა «გამგეობა», არ ვიცით, რომელის მოსაზრების ძალით, «საზოგადოების» მმართველობას მიუნდვია თ. ილია ჭავჭავაძისათვის. ასე და ამ გვარად, მმართველობას მიუთვისებია წესდებულებით არა მინიჭებული უფლება არა რომელიმე ცუდის განზრახვით, არამედ დაუხედველობის გამო. ბ. ყიფიანს კი მიუწერია პოლიციის უფროსისათვის ისეთი ქაღალდი, რომელიც არ ეთანხმება სხდომის პროტოკოლს. სხდომას დაუდგენია, რომ ი. ჭავჭავაძეს მიენდოს «შედგენა ახალის დრამატიულის დასისა»; ბ. კ. ყიფიანი კი სწერს პოლიციის უფროსსა, რომ დრამატიულ საზოგადოების მმართველობამ თავის სხდომაზე დაადგინაო: «ქართული დრამატიული დასის» საქმეების და საზოგადოდ ქართულის თეატრის გამგეობა მიანდოს თ. ი. ჭ—ძესო. ჩვენ ვფიქრობთ, რომ «შედგენა ახალის დასისა» და «გამგეობა ძველის დრამატიულის დასისა», რომელიც ეკუთნოდა არა «დრამატიულს საზოგადოებასა», განირჩევიან ერთი ერთმანერთისაგან. ამ რიგად ბ. ყიფიანს დაურღვევია «საზოგადოების» მმართველობის სხდომის გადაწყვეტილება, რომელიც, უნდა ვაღვიაროთ, «საზოგადოების» წესდებულების თანახმა არ არის და ერთობ ყრუდ არის შედგენილი. თუ ეს გარემოება, ცოტად თუ ბევრად, ბ. ყიფიანის ფიქრით, ამართლებს იმის მიწერილობის პირველს ნახევარს, რა უნდა სთქვან იმ ადგილზე, სადაც ის ბძანებს, რომ «არავის არა აქვს უფლება აფიშებში გამოაცხადოსო,—წარმოდგენა იმართება «დრამატიული დასისა» ან დრამატიული დასის არტისტებისაგანაო და სხვ. და სხვ.» და ქართული წარმოდგენების აფიშები, რომლებზედაც მე, ე. ი. კ. ყიფიანს, ხელი არ მექნება მოწერილი, გთხოვთ (ე. ი. პოლიციის უფროსს) არ ჩასთვალოთ «დრამატიულ დასის» აფიშებათაო. ყოველივე ამ სიტყვათაგანი ეწინააღმდეგება «დრამატიულ საზოგადოების» წესდებულებას და ეს ბ. ყიფიანს კარგად უნდა სცოდნოდა, რადგანაც ბრძანდება იმავე «საზოგადოების» მმართველობის წევრი და საქმის მწარმოებელი. მოვაგონოთ მასვე, რომ წესდებულების ძალით «დრამატიულს საზოგადოებას» არა აქვს უფლება ვისმეს აღუკრძალოს «დრამატიული დასის» შედგენა და ან მოსპოს იგი, თუ კი არსებობს «დრამატიულ საზოგადოების» გარეშე. ამისათვის თუ კი დრამატიული დასი არსებობდა, მასა აქვს უფლება გამოაცხადოს აფიშებში, რომ წარმოდგენას ჰმართავს «ქართული დრამატიული დასი» ან «ქართულის დრამატიული დასის არტისტები». ისიც კარგად უნდა იცოდეს ბ. ყიფიანმა, რომ ყოველს წრეს, რომელიც თეატრალურ წარმოდგენებს ჰმართავს, აქვს უფლება უწოდოს თავის თავს «დრამატიული დასი».

მეორე მიწერილობაში კი ბ. ყიფიანი, ცოტათი არ იყოს, ასწორებს თავის განზრახს ან უნებურს შეცდომილებას და სწერს პოლიციის უფროსს, რომ ბ. ი. ჭ—ძეს «უნდა შეედგინაო დრამატიული საზოგადოების მმართველობის მინდობილობით დრამატიული დასიო და სხვ.» აგვიხსნას ბ. ყიფიანმა, თავის მოქმედების მიზეზები, რადგანაც თავისივე მიწერილობით, არ ვიცით რისთვის, დაარღვია «დრამატიული საზოგადოების» წესდება და ხელი შეუშალა პოლიციის შუამავლობით ქართულ წარმოდგენების გამართვას, რომლის წარმატებისათვის თვითონვე უნდა აღმოეჩინა ყოველ გვარი საშუალება და არა დაბრკოლება. რადგანაც თითონვე არა ერთი წელიწადია, რაც ემსახურებოდა ქართულ თეატრის საქმეს. ერთის სიტყვით დრამატიულ საზოგადოების მმართველობამ შესცოდა თავის წესდების წინაშე და წევრმა-სეკრეტარმა ამ მართველობისამ, ბ. ყიფიანმა, შესცოდა როგორც წესდების, ისე მმართველობის წინაშე.

მხოლოდ ორიოდე სიტყვა გვინდა ვუთხრათ თვითონ მმართველობას:

ჰფიქრობს თუ არა იგი საქმის გასწორებას, ე. ი. იმ დაბრკოლების აცდენაა, რომელიც მისსავე წევრს და ხაქმეთა მწარმოებელს აღმოუჩენია ქართულის თეატრისათვის? ჩვენა გვგონია, დრო არის რომ საქმე გაასწორონ, თორემ უთეატროთა ვრჩებით: ეხლა თვით აღნიშნული საზოგადოების მმართველობისაგან არ უნდა ველოდებოდეთ «დრამატიულ დასის» შედგენას და წარმოდგენების გამართვას, რადგანაც ბ. ი. ჭ—ძემ უარი სთქვა მმართველობის მინდობილობაზე; ესეც რომ არ იყოს, მმართველობამ რიგიანად განაგოს ეჭვი გვაქვს ხსენებულმა თეატრის საქმე, რადგანაც წესდებულების ზოგიერთა მუხლიც კი კარგად ვერ შეუგნია.

შინაური ქრონიკა

მკითხველებმა იციან, რომ კვირას, 25-ს ამ თვეს, დილის 7 საათზედ დიდი მთავარი მიხეილ ნიკოლოზის-ძე თბილისში მობძანდება. მოსვლის უმალვე დაჰხედავს ჯარებს და ქალაქში შემოსვლის დროს შემდეგს ქუჩებზე გამოიელის: მიხაილოვის ქუჩაზე, ხიდზე, ბარიათინსკის ქუჩაზე, ბოლოვინის პროსპექტზე და ერმოლოვის ქუჩაზე. პირველად ქალების ინსტიტუტში მიბძანდება. უკან დაბრუნებას იმავე ქუჩებზედ ინებებს. დილის 6 საათზედ ერევნის მოედანზედ ეთი ვაგონი იქნება ცხენის-რკინის გზისა დამზადებული, რომლებითაც ქალაქის წარმომადგენელნი და სხვა საპატიო პირნი წავლენ რკინის გზის სტანციაზე. ოკუბალზედ მიეგებება აგრეთვე თავად-აზნაურობაც.

ალავერდის დღეობიდამ ჩამოსულ პირთ გვიამბეს, რომ წრეულს ამ დღეობაში ჩვეულებრივზე უფრო ნაკლები ხალხი იყო. მიზეზად იმას ამბობენ, რომ ბევრგან რთველი დაუწვიათ ჯვართ-ამაღლების წინა დღეებში. ბაჭრობაც არ იყო თურმე დიდი. ეს სამი-ოთხი წელიწადია, რაც მთავრობამ ალავერდის იარმარკა დაამტკიცა, მაგრამ ჯერ დროებით ამ იარმარკამ ფეხი ვერ მოიდგა: ვაჭრები მოდიან 13 ენკენისთვეს და 15-ს დილით სტოვებენ ალავერდს, ზოგიერთი მათგანი მოდიან სწორზედაც.

დღეობაზე ბრძანდებოდა ყოვლადუსამღვდელოესი საქართველოს ექსარხოსი პავლე. ის პირველად იყო ალავერდში და საზოგადოდ ქახეთში. დღეობაზე მოსულ ქართველობას იმედი ჰქონდა, რომ მისი ყოვლადუსამღვდელოესობა, ადრინდელ ექსარხოსსავით, აწირვინებდა კრებულს ქართულად და წირვის შემდეგ წარმოსთქვამდა დღეობის შესაფერ სიტყვას. მაგრამ, წირვა რუსულად იყო, თუმცა კრებული იყო შემდგარი ქართველი სამღვდელოებისაგან!...

ოთხშაბათს, 21 სექტემბერს, თბილისში მოვიდა გზათა მინისტრი პოსიეტი (ავკ.).

იმავე გაზეთის სიტყვით გუშინ ვაცნობებთ მკითხველებს, რომ ჯავახეთის ახალქალაქისკენ დირეტერიტი გაჩენილა. ეს ამბავი თურმე ახალი არ არის. ამ ზაფხულს ხუთასამდე ბავშვი შომკვდარა ამ ავად-მყოფობით და არსაიდამ არც ექიმი და არც წამალი არ მიშველებია ამ მიყრუებულს ზხარეს.

სასულიერო სასწავლებლებში ქართულის ენის შტატის საგნად აღიარების თაობაზედ ჩვენ მოგვეიდა შემდეგი შენიშვნა:

«ღეიდამ ქართული ენა შტატის საგნად იქნება ჩარიცხული და მისი მასწავლებელი შტატის მასწავლებლად. ახლა საქმე იმაზეა დამოკიდებული, თუ როგორი პროგრამა ექნება ქართულ ენას და როგორი მასწავლებელი ეყოლება, მეტადრე ამ პირველ ხანს. დიდი მოვალეობა ედება კისრად და დიდი შრომა მოელის ქართულ სიტყვიერების მასწავლებელს, თუ რიგიანად ესმის დედა-ენის მასწავლებლობის მნიშვნელობა საზოგადოდ და მისი სიმძიმე და ღვაწლი ჩვენში კერძოდ, მეტადრე ამ ჟამად, სასულიერო სასწავლებლებში. არც გარკვეული პროგრამა, არც სახელმძღვანელო, არც სისტემატიური მასალა და გამოცდილება. პირველი ნაბიჯი, პირველი კვალის გათელა ყოველთვის უფრო ძნელია. ასე ვფიქრობთ ჩვენ და ასე უნდა ჰფიქრობდეს, ჩვენის აზრით, ყველა, ვინც იკისრებს ახალის მძიმე თანამდებობის კისრად დებას. მან უნდა იცოდეს, რომ მას აადევნებს ყურადღებას და მოსთხოვს ზნეობითს ანგარიშს ყველა სამშობლო ქვეყნის წარმატების მსურველი. წარმოიდგინეთ ახლა ჩვენი გაოცება და აღშფოთებაც, როცა გავიგეთ, რომ ახლად დაბადებულ თანამდებობას,—თუ მართალია ჩვენამდის მოსული ხმა,—ახლავე ეპოტინებიან თურმე ისეთი ყმაწვილები, რომელთაც სრულებით არ იციან თავის ფასი, თუ ასე მსუბუქად და მჩატედ ეკიდებიან მათდა არა შესაფერ საქმეს. უხეიროდ მოწყობილმა ცხოვრებამ დაბადა ჩვენში ყმაწვილების ერთ-გვარი ტიპი, რომელთაც, თუ თქვენი ნებაც იქნება, ყველაზე უფრო შეშვენისთ «წოწიალისტების» სახელი (ღმერთმა დაგიფაროსთ, სოციალისტები არ გეგონოთ!). ამათ გუნდს შეადგენენ გიმნაზია, სემინარია და სხვა სასწავლებელ-დაუსრულებელი ყმაწვილები, რომელნიც ვერ მიმხვდარან საკუთარის ნიჭის ძალას და მოწოდებას, არ იციან, რა გზას დაადგენ, ვერ შეუდგენიათ ცხოვრების გარკვეული პრინციპი და მოქმედების პროგრამა. ხან სწავლის გაგრძელება სურთ და ეითომ საზოგადო სამსახურსაც გულწრფელად იჩემებენ, მაგრამ, რადგან გარემოებას არ მიუცია ნება შეესრულებინათ გონება-ხასიათის განვითარება, და თან ცხოვრების პრაკტიკული ვარამი თავისას არ იმლის,—ვერ იქცევიან წესიერად და ისეთს საქმეს ჰკიდებენ ხელს, რომელიც არც მათი შესაფერია და არც მათის მომზადების და ცოდნა-განვითარების საქმე. აი, მაგალითად, შეასრულა, როგორც იყო, კაცმა სემინარია და იმის მაგიერ, რომ გაავრძელოს შესაფერი შრომა, ჯერ ერთს ჰკიდებს ხელს, მერე მეორეს, ჯერ მასწავლებელია—რასაკვირველია, გულ-აცრუებული, საქმისადმი უსიყვარულო მასწავლებელი,—მერე უცებ მოეჩვენება საიდამლაც, ჩემში მომავალი კომპოზიტორის დაფარული ნიჭი იმალებაო, და ავალებს ყველას, შემეწიეთ, გამგზავნეთ კონსერვატორიაში, უშველეთ ნაციონალურ მუსიკის მომავალსაო. მიდის რუსეთში, მაგრამ იქ არავინ იცნობს კომპოზიტორად და ყველა ურჩევს, ტყუილად დროს ნუ ჰკარგავს, აირჩიოს სხვა ხელობა. მაინც არ სცხრება და მუსიკასთან ერთად ეითომ არხეოლოგიასაც ეპოტინება, თითქო ამ მეცნიერებას სემინარიული ღომილეტიკის მეტი არაფერი უნდოდეს. აი ამისთანა ხალხი, რომელიც ხან კომპოზიტორობს, მაგრამ მრავალ-ჟამიერსაც ვერ გიგალობებთ, თუ არ იყალბა, ხან არხეოლოგოსობს, მაგრამ ილოვაისკის ისტორიაც ვერ შეუსწავლია, ხან მასწავლებელია, მაგრამ ისეთი, რომ სტოვებს მასწავლებლობის რაღაც მოჩვენებულ კოპოზიტორობისათვის, ახლა კანდიდატად გამოდის ქართული სიტყვიერების კათედრაზე. ნუ თუ დაილია საკაცეთი და არ ეყოფა ქართულ ენას სხვებისაგან მასხარად აგდება, რომ თავისიანებმაც არ აიგდოთ!»

გრ. უმწიფარიძე.

«დროების» კორესპონდენცია.

ს. კარდანეხი (სიღნაღის მაზრა), 15 სექტემბერს. ამ ერთი წლის წინად ს. კარდანეხი იყო ბუდე აუარებელი ცარცვა-გლეჯისა. დღე ისე არ გავიდოდა, რომ სოფლის მამასახლისის ეზოში ათი-თორმეტი მოჩივარი არ მისულიყო. ზოგი ჩიოდა ცხენის დაკარგვას, ზოგი ძროხის დაკვლას—მინდორში, ზოგი ცხენის თუ ვირის კუდის მოჭრას და სხვა... ერთი სიტყვით, ისეთი გავრცელებული იყო პირუტყვის კარგვა და დამახინჯება, რომ შეუძლებელი იყო პატრონი გვერდიდამ მოჰშორებოდა. ეხლა, ცოტა არ არის წინანდელი მაზრის უფროსის თანაშემწეს თ. ლ. ჯანდიერის მეცადინეობით, როგორც სხვა სიღნაღის მაზრის სოფლებმა, კარდანეხმაც შეისვენა მცარცველებისგან და ქურდებისაგან, და ბედნიერად სთვლის კარდანეხის გლეხი თავის თავს, რომ ეხლა უშიშრად შეუძლიან გაუშვას საქონელი ეენახში და მინდორში.

სწორედ რომ ბედნიერიც იქნებოდა კარდანეხი და ცოტა მოსვენებით ამოისუნთქავდენ კარდანეხელები, რომ ბედს არ ემტყუენა და გარეული მცარცვავ-მგლეჯავებს მაგიერად შინაური არ გასჩენოდათ. არ ეყო ქვა-დისინ აკლებდა აქაური მამასახლისი ს. ტურიაშვილი სოფელს სხვა-და-სხვა უსამართლობას, მაგრამ აქამდინ ყოველივე მისი მოქმედება ხდებოდა ჩუმად, ფარულად და ეხლა კი იქამდინ თავს გავიდა, რომ აშკარად დაიწყო თავის უკანონო მოქმედებანი. იმან შეისწავლა ხალხის დაუდევარი ხასიათი და, ამით გამხნევებული, ვინ იცის, რას არ სჩადის. აკლა რაც უნდა საჭირო საქმე ჰქონდეს მასთან, სახლში ვერ ნახავს მას. ან სადმე გამართულს სადილზე იქნება, ან ჩუმათ გლეხს სადმე ელაქუცება, რომ დასტყუოს რამე, აქეზებს მას ვისიმე წინააღმდეგ და ჰპირდება შემწეობას საქმის გარჩევის დროს, რისთვის ის წინადვე იღებს ჯილდოს; მაგრამ როდესაც საქმე დაიწყება, ის ისე ერიდება უბედურ გლეხს, როგორც ურია ღორის ხორცსა. ამ ნაირს უსინიდისობას ბევრს უშვრება და ბევრს სწვამს გულსა, მაგრამ ხმის ამოღები არავინა სჩანს. ხმას იმიტომ უფრო არ იღებენ, რომ ყველამ კარგად იცის ხმის ამოღებისთვის ან გომურს ან საპყრობილეს ესტუმრებიან და უფრო მეტი გარდაჰხდებათ. ბომურში და საპყრობილეში დამწყვდევა დიდს სარგებლობას აძლევს მამასახლისს; ჯერ დაამწყვდევს უბრალო რამე საქმისთვის და მერე მელურად მიცუნცულდება გომურის კარებთან და მინამ არ მოეშვება, სანამ არაფერს დასტყუვებს დატუსაღებულს და როდესაც გულის წადილს მეისრულებს, გამოიტუმრებს მას გომურიდან. ბევრი თავის ტეხაც არ უნდება მამასახლისს ამაზე, რადგანაც უსუფთაო და მყრალი გომურიდამ დახსნისათვის ყველაფერზე მზად არიან.

ამ თვის 14-ს, დილა ადრიანად, სოფლის სასამართლოს ეზოდამ მომესმა ერთი უშველებელი ღრიალი და ლანძღვა. თუმცა ძალიან მეძინებოდა, მაგრამ ცნობის-მოყვარეობამ დამძლია, გამოვედი ბალკონზე და დავინახე, რომ ხალხი შეყრილიყო ეზოში, შუაში მამასახლისი იდგა და უშვერის სიტყვებით ლანძღავდა ერთს გლეხს. დაშოშმანების შემდეგ, დაწვრილებით შევიტყე მიზეზი ლანძღვა-გინებისა. წინა ღამეს ერთ გლეხს მისცვივნოდენ ჩაფარი და გზირები, რომლებიც მღვდლებს თითო კოდს პურს უკრეფდენ დებულებისამებრ, და ჩასკიებოდენ ვახშამი უნდა მოგვცეო. ბლეხს მღვდლის «კვიტანცია» ეჩვენებინა და ვახშამზე უარი ეთქვა. ბზირებს ძალა ეხმარათ, მაგრამ მოხერხებულ გლეხს გაემარჯვნა. ასეთი გაუპატიურება თავის ხელქვეითებისა მამასახლისს, რასაკვირველია, სწყენოდა და მეორე დღეს, დილა ადრიანად, ამოეყვანინებინა გლეხი გომურში დასამწყვდევად. თუმცა ბევრ-ნაირი ხერხი ეხმარა მამასახლისს, მაგრამ გლეხი არ დანებებოდა და არ შესულიყო გომურში. დიდი მუქარის და ლანძღვის შემდეგ გაისტუმრა გლეხი,

რომელმაც უთხრა: «გული კი გილრინავს, მამასახლისო, რომ დილა ადრიანად ვერა დამცინცლე-რაო». ამ სიტყვების გამგონმა მამასახლისმა გამოუყენა გლეხს გზირები დასაჭერად, მაგრამ გლეხი ფიცხლავ დაიმალა და დამარცხებული მამასახლისი ხელ-ცარიელი დაბრუნდა შინ.

ახალი მამასახლისების ამორჩევის დრო ახლოვდება და საჭიროა, ვისაც ჯერ არს, ჩაგონოს სადილებით მიმხრობილს ხალხს, რომ კიდევ ამისთანა მამასახლისი არ ამოირჩიონ, როგორიც არის ეხლანდელი. მოსალოდნელია, რომ უფრო უარესმა დაიჭიროს ეს შემოსავლიანი ალაგი, რადგან ეხლავე მრავალი გაიძვერა პირნი და მათს რიცხვში ტურიაშვილიც, ცდილობენ სადილებით და სხვა ეშმაკობით მიიმხრონ თავისკენ ხალხი.

ი. კახელი.

რუსეთი

— ამ ბოლოს დროს სოფლებში საკვირაო სკოლების დაარსების საქმემ მიიქცია ყურადღება ბევრი კაცთ-მოყვარე პირებისა, რომელნიც არაფერს არ ზოგავენ ხალხში განათლების გავრცელებისათვის. როგორც გაზეთები გვატყობინებენ, მომავალს ოქტომბერში სდგება რუსეთში საზოგადოება, რომელიც უნდა დაეხმაროს საკვირაო სკოლების საქმესა. ამ სკოლებს საგნად ისა აქვსთ, რომ იმ სოფლელებს, რომელნიც სკოლებში ყოფილან და უსწავლიათ წიგნი, კვირაობით იკრიბებოდენ სკოლაში, იმეორებდენ იმას, რაც უსწავლიათ, და ამასთანავე, რასაკვირველია, სხვასაც იძენდენ. ზემო-ნათქვამი ქველმოქმედი საზოგადოების პროექტი შემუშავებულია თურმე და, როგორც ისმის, მალე წარუდგენენ მმართებლობას განსახილველად.

— იწერებიან, რომ სამხედრო-მედიცინის აკადემიაში წრეევანდელს წელს უფრო ბევრი სტუდენტები შესულან, ვიდრე ორს წინა წლებში.

უცხოეთი

— ერთი რუსული გაზეთი იწერება: «მოვესწარით იმ დროსაც, როდესაც ბერლინიდგან კი არა, შიგ შუაგულ ბულგარიიდამ მოდის ისეთი ამბები, რომელნიც შეურაცყოფენ რუსის გრძნობასა. თუ არ შეურაცყოფობა, სხვა არაფერი შეგვიძლიან ვუწოდოთ ყოველს იმას, რაიცა მოხდა სოფიაში ამ უკანასკნელ დღეებში. რით აიხსნება ის ულირსი მოქმედება, რომლის მსხვეელპლათაც შეიქმნა რუსეთის არსებითი ინტერესნი, მისი პატიოსნება, ღირსება და, ბოლოს, მისი მნიშვნელობაც, როგორც იმისთანა სახელმწიფოსი, რომელიც იცავს სლავიანთა ხალხების ინტერესს და დამოუკიდებლობას,— თუ არ იმითი, რომ დაივიწყეს ყოველივე ის, რაიცა ქმნა რუსეთმა ბალკანის ხალხთა განთავისუფლებისათვის, და მის მნიშვნელობას, როგორც დიდი სახელმწიფოსას, ალარაფრად აგდებენ»?

«ბანა შეუძლიან რუსეთს გულგრილად უყქიროს ბულგარიის ხალხის მისგან ძალადობით მოშორებას, რომელსაც სცდილობენ მისი «დაპატიჟებული» და «დაუპატიჟებელი» მოთავენი»?

— ვენის გაზეთები სხვა-და-სხვა ფრიე სჯიან ეხლანდელს ბულგარიის მდგომარეობას და ზოგი მათგანი, სხვათა შორის, სწერს: «ბულგარიის კრიზისი რალაცა საჩუქარს უმზადებს ევროპასა. ძალიან შემცდარი აზრი იქნება, თუ ბულგარიიდამ რუსეთის გენერლების წასვლის გამო იფიქრებს ვინმე, რომ აქ პანსლავიზმს ბოლო მოეღო და ავსტრო-გერმანიის გავლენა გაიმარჯვებს. არ უნდა დავივიწყოთ, რომ ახალ მინისტრ პრეზიდენტად ცანკოვი არის, ის ცანკოვი, რომელიც მთავარმა ერთხელ დაითხოვა სამსახურიდამ ავსტრიის წინააღმდეგ მკაცრი სიტყვების წარმოთქმისთვის. ის პარტია, რომელსაც ეხლა სამთავროს მმართველობა ხელთ უჭირავს, ის პარტიაა, რომელსაც ჰსურს დიდი ბულგარია შეადგინოს, რომლის პირველი და უკანასკნელი სიტყვა—ბერლინის ტრაქტატის წინააღმდეგობაა და რომელსაც მიზნათა აქვს ალმოსავლეთი რუმელია ბულგარიასთან შეაერთოს და ამ გვარად ერთი ბულგარიის სახელმწიფო შეადგინოს».

— სტამბოლიდგან, სხვათა შორის, იწერებიან, რომ სასახლეში კიდეც ამოუჩენიათ შეთქმულობა სულთანის წინააღმდეგ და ამ ამბავს დიდი არეულობა მოუხდენია იქ. ამ ჟამად ეჭვი მიუტანიათ ტახტის მემკვიდრის რეშიდ-ეფენდის დაახლოვებულ პირებზედ. ის პირი, რომელსაც მემკვიდრე ყველაზე უფრო ენდობოდა და რომელსაც რალაც დიდი ალაგი ეჭირა სახელმწიფოში, საიდღაც დაუკარგავთ საიდუმლოდ. დიუფერინის სტამბოლში უცებ მისვლასაც ნაკლებად არ შეუფუცხუნებია სულთანი. ეხლა ყოველ დღე თურმე არის სასახლეში მინისტრთა რჩევა და სჯის— როგორ შეასრულონ ბერლინის ხელშეკრულობის 61 მუხლი, რომელიც სომხეთს შეეხება. იმათ კარგად იციან, რომ ლორდ დიუფერინს ნაბძანები აქვს უთუოდ შეასრულებინოს ეს მუხლი. რჩევას გადაუწყვეტია კიდეც ქრისტიანი გუბერნატორების და ვიცე-გუბერნატორების დანიშვნა იმ ადგილებში, სადაც სომხები მცხოვრებთა უმრავლესობას შეადგენენ.

— საფრანგეთს განუზრახავს ტორსიკაში სამხედრო გუბერნატორის დაყენება და ამ ამბავს ძლიერი შთაბეჭდილება მოუხდენია იტალიაში. იქაურს გაზეთებს ძალიან მკაცრი წერილები დაუბეჭდიათ საფრანგეთის წინააღმდეგ ამ გვარი მთქმელებისათვის, რომლითაც ვითომც იგი იწვევდეს იტალიას საომრად.

წერილი რედაქტორისა.

პასუხი თელაველ მეფელტონეს ბ. «ჭონს».

(დასასრული *)

ბ. ჭონი, სხვათა შორის, იმასაც ბძანებს, ვითომც მე რაღაც ბორბოტ-მოქმედებაში ვამსჯელებდი დეპოს გამგეობას, მაგრამ როდესაც «მომთხოვეს დამტკიცება, თუ სად და რაში ამოაჩინა ბორბოტ-მოქმედება გამგეობამ, მე, საბრალომ, ვერა დავუმტკიცე-რა». მართლაც, რომ შესაბრალისი უნდა იყოს ის კაცი, რომელიც ცდილობდეს დაწვრილებით ეველას გაგებას, მაგრამ ბუნებითის სიბრიყვლის გამო ვერას იგებდეს. თუ ესე არ იყოს, საიდამ რას ჭკუობავს ბ. ჭონი, როდესაც გამგეობის აზისა და კარგის მოქმედებაზედ კითხვა არა ყოფილა და რად მინდოდა, ანუ რა საჭიროება მოითხოვდა, ჩემგან ამ-გვარი საბუთების წარდგენას. ამ საკანზედ საუბრისთვის, ბ. ჭონო, უფრო მარჯვე დროც მექმნება და ადგილიც, და თუ ესრეთი სურვილი გქონიათ აღძრული, მაშინ მოისმახეთ ჩემი აზრი დადინჯებით; ეხლა კი ნურას უკაცრავად.

მესამე მუხლი გამგეობის წინადადებისა შეეხებოდა წიღის ფულის გადიდებას. გამგეობის თავმჯდომარემ წაიკითხა ეს მუხლი და თავის სიტყვითაც აგვიხსნა. ეველასთვის გასაგები შეიქმნა, რომ გამგეობა თხოულობდა ხუთი მანეთის მომატებას თვითეულ წვერზედ. ამის შემდეგ სიჩუმე ჩამოვარდა; მცირე სიჩუმის შემდეგ მე წარმოვსთქვი შემდეგი: «მე არ მეეურება, თუ რას ითხოვს გამგეობა: თუ მარტო ხუთი მანეთის მომატებას თხოულობს, მაშასადამე, ჭსურს, რომ ათ მანეთიანი წიღი გავხადოთ თხუთმეტ მანეთიანად, რომლის უფლება, წესდების მისედულობით, ჩვენ არა გვაქვს უმაღლესის მთავრობის დაუკითხავად». ამ. ი. ზ. როგორღაც იგრძნო თავის შეცდომა, მაგრამ თავ-მოუვარეობამ ნება არ მისცა თავის თხოვნა ან უკან წაედო, ან გადაესწორებინა. იწყო ბაასი ამ ხუთი მანეთის მომატებაზედ, რომელშიაც მონაწილეობა მიიღეს მეტმა თავის ქადაგებით, ერმა თავის მსჯელობით. მე კამტკიცებდი, რომ მაგისთანა თხოვნა გამგეობისა გამოწვეულია წესდების უტოდინრობისაგან, თორემ რა საჭირო იყო ხუთი მანეთის თხოვნა, როდესაც თვითეულ წვერს საზოგადოებისას სრული ნება აქვს (§ 21 წესდებისა) შეიტანოს თითო თუმანი, რამდენჯერაც ჭსურს. ამის მისედულობით კამტკიცებდი, რომ საჭირო არ არის განსილვა გამგეობის წინადადებისა ხუთი მანეთის მომატებაზედ და თუ შეიტანება ეს მუხლიც განჩინებაში, მაშინ მისი რედაქციაც უნდა ეთანხმებოდეს საზოგადოების წესდებას. ამის შემდეგ, ი. ზ. ხან-შეშეობა დაუმახა ამ ხუთ მანეთს, ხან ნახევარ წიღი და ხან რა. თავის გასამართლებლად წესდების 21 § წაგვიკითხა, მაგრამ ამ მუხლში, სრულებით მისი გასამტყუნარი აზრი იყო. როდესაც ამ რიგად მახიდამ ვეღარ მოახერხა გამოსვლა, მაშინ ძალაუნებურად თუმნიანი წიღი, რამდენჯერმე აღებული, უნდა მიეღო, მაგრამ გვიანლა იყო. ამ-გვარად კრებამ დართოს ნება გამგეობას, რომ ამან სთხოვოს ყოველს წვერს, თუ მათთვის შესაძლო იქმნება, აიღონ რამდენიმე წიღი, რადგან საჭიროება ამას თხოულობს. აი ნამდვილი სახე კრებისა მესამე მუხლის განსილვის დროს. მკითხველს ეხლა სრული საშუალება აქვს მიცემული შეადგინოს თავის წარმოდგენა კრების შესახებ საზოგადოდ.

ეხლა გადავავლოთ თვალი მთელი კრების მოქმედებას. რა ნიშან-წყალი ეტყობა მას? თავმჯდომარის ამორჩევა რომ არ გაინგარიშოთ, კრებაზედ იყო სჯა სამი საგნის შესახებ: მოგების მაგიერ ზარალი არისო (მ. ბ. ანდრონიკაშვილი), მოგება სხვა ნაირად უნდა განაწილდეს და არა ისე, როგორც ჭსურს გამგეობასაო და ხუთი მანეთი არ შეიძლება წიღის ფულს მიემატოსო (მე). მაშასადამე, ეველა წვერში ორ რაზმად გაყოფილან: ერთ მხარესა სდგას საზოგადოების გამგეობა, რომელიც ამტკიცებს მოგებასაც, ჯილდოსაც აძლევს და წიღის მომატებასაც თხოულობს. მეორე მხარე ამტკიცებს მოგების მაგიერ ზარალს. მოგებას სხვა დანიშნულებას აძლევს და მეტი წიღის აღებაზედ ნების დართვას საზოგადოებისაგან საჭიროდ არა ჭსადის, რადგან წესდებით ეს ნება უკვე აქვს მინიჭებული თვითეულ წვერს. მეორეს მხარეს ამტკიცებს, რომ ეს ნება ეს ნებაა, ეს ნებაა, ეს ნებაა.

სხვა-და-სხვა ამბავი.

ინგლისელი და ქალების საჩუქარი. ერთს ინგლისელს თურმე ჩვეულებათ ჭქონდა დიდხანს ლაშე წაღებით სიარული თავის ოთახში. სასტუმროში იმის გვერდით და იმის ოთახის ქვეშ თურმე ქალები იდგნენ, რომელთაც ეს ხმაურობა

ბა ძალიან აწუხებდათ. ქალებს ერჩიათ, ერჩიათ და ზდიდობიანად მოუნდომნათ ინგლისელისათვის საუკეთესოს მიცემა; ეუიდნათ ერთი წუთიდი მშვენიერი ტუტ ლები და ფეშქაშად მიეტანათ თავიანთ მეზობლისათვის. ინგლისელს სიამოვნებით მიეღო ეს საჩუქარი და ეოველ დღე სასეირნოდ იმითი შიდიოდა თურმე, მაგრამ შინ დაბრუნდებოდა თუ არა, ისევ წალებს იცვამდა და ძვირფასს საჩუქარს თავდ-საჩინო ადგილს აწყობდა, რომ სტუმრებთან თავი მოეწონებინა.

—

მეეირალია ბავშვები. ამერიკელებს ერთი რამ სათამაშო მოუგონიათ, რომელსაც ძვირფასად ჰყიდიან. გამოგონებელნი გზეთებში აცხადებენ, რომ ვისაც სურს რომ რკინის გზის კაგონში მარტო დარჩეს, ჩვენი სათამაშოები იყიდოს, რომელნიც პატარა ბავშვებსა ჰგავნან და ისეთს ხმას იღებენ, რომ ახლო ვერავინ მიეკარებოდ. ეს სელოვნებით შექმნილი ბავშვები თურმე სხვა და-სხვა ჯურისანი არიან; ზოგნი მგზავრებს უსიამოვნობას აყენებენ, ზოგნი ჰკენესიან, ზოგნი თურმე ისე წიეიან, რომ ახლო ვერავინ მიეკარება. რასაკვირველია, თასიც ამ «ბავშვებისა» ხმის კვალობაზედ იქნება.

—

წერა-კითხვის გაჭიერცელებელთათვის. ერთს ამერიკელს მსაჯულს ახირებული ღონის-ძიება მოუგონია წერა-კითხვის გავრცელებისათვის: დამნაშავეებს თურმე უცხადებდა, თუ ვინიცობაა, წერა-კითხვას ისწავლით, ამა და ამდენი ხნით შეგიმცირებთ ციხეში ჯდომის ვადასაო და ამ ზომას ბევრის ჭაღარა თმიანისათვის აულებინებია სიბერის ჟამს ანბანი.

განცხადებანი

31 აგვისტოს 1883 Წ. მილებულიქმნენ ქუთაისის სათავად-აზნაურო სასწავლებელში.

ქუთაისის მაზრიდგან (13 ეკანსიაზე).

1, ლორთქიფანიძე გრიგოლ დიმიტრის-ძე,
2, ღოლბერიძე გრიგოლ პლატონის-ძე,
3, ჩხეიძე თომა რაფიელის-ძე,
4, ლორთქიფანიძე ერმალო ტარიელის-ძე,
5, იოსელიანი ეიქტორ ალექსის-ძე,
6, ჩახუნაშვილი იოანეიმ კონსტანტინეს-ძე,
7, ღოლბერიძე იასონ ივანეს-ძე,
8, რიონიშვილი კასიდ კონსტანტინეს-ძე,
9, აგიაშვილი კონსტანტინე მიხაილის-ძე,
10, ქაჯაია ივანე მიხაილის-ძე,
11, ლომინაძე ბესარიონ იოსების-ძე,
12, ღოლბერიძე სერგეი ივანეს-ძე,
13, აბულაძე ალექსი ნიკოლოზის-ძე,

შორაპნის მაზრიდგან (12 ეკანსიაზე).

1, წერეთელი მიხაილ გრიგოლის-ძე,
2, მაჭავარიანი პეტრე ლუარსაბის-ძე,
3, წერეტელი იაკობ მიხაილის-ძე,
4, ყელენტი სიმონ ვლადიმერის-ძე,
5, მაჭავარიანი ივანე სიმონის-ძე,
6, ღოლაძე სოლომონ ვარლამის-ძე,
7, წერეთელი მელიტონ მალხაზის-ძე,
8, წერეთელი სოლომონ ნიკოლოზის-ძე
9. მაჭავარიანი კონსტანტინე იოსების-ძე,
10. ამაშუკელი ეძვიიმე ირაკლის-ძე,
11, ღოლაძე შიო ოტიას-ძე,
12, ბაგრატიონი ნოდარ როსტომის-ძე,

რაჭის მაზრიდგან (6 ეკანსია).

1, გოცირიძე გრიგოლ ლუარსაბის-ძე,
2, ციმაკურიძე ვასილი დავითის-ძე,
3, ავალიანი პარტენ ალექსანდრეს-ძე,
4, ჯაფარიძე ეიკენტი როსტომის-ძე,
5, ბაქრაძე არჩილ ნოშრევანის-ძე,
6, ლორთქიფანიძე პლატონ სახულის-ძე,

ლეჩხუმის მაზრიდგან (4 ეკანსია),

1, გელოვანი კონსტანტინე ლევანის-ძე,
2, გელოვანი ნიკოლოზ მიხაილის-ძე,
3, ასათიანი ნიკოლოზ გიორგის-ძე,
4, ასათიანი დიმიტრი ჯამსუეის-ძე,

ოზურგეთის მაზრიდგან (6 ეკანსია).

1, ყორდანია გრიგოლ ირაკლის-ძე,
2, შარაშიძე ბესარიონ ლევანის-ძე,
3, ბერიძე დიმიტრი იაკორის-ძე,
4, ბოლქვაძე მინა გიორგის-ძე,
5, ნიკარაძე კონსტანტინე დიმიტრის-ძე,

სენაკის მაზრიდგან (9 ეკანსია),

1, ქავთარაძე ისააკ მიხაილის-ძე,
2, ჩიქვანი ნესტორ ნიკოლოზის-ძე,
3, ჭალაგანიძე ანდრია დიმიტრის-ძე,
4, გაბუნია ნესტორ ზურაბის-ძე,
5, ჩიქვანი ვლადიმერ გიორგის-ძე,
6, ჩიქვანი ლევან დიმიტრის-ძე,
7, ჩიქვანი სიდვესტრი დავითის-ძე.
8, გრიგოლია ეგეგენი იოანეს-ძე,
9, დადიანი ალექსანდრე მალაქიას-ძე,

ზუგდიდის მაზრიდგან (8 ეკანსია.)

1, გაბუნია დიომიდ ალექსის-ძე,
2, ჩაჩუა ალექსანდრე ნესტორის-ძე,
3, ლოლუა იოანანე ტოტის-ძე,
4, მატასურია არჩილ გიორგის-ძე,
5, ალაშიბაია ვასილ ნესტორის-ძე,
6, ფულარია გიორგი ალექსანდრეს-ძე,
7, გვალია პაგრატ დუტუს-ძე,
8, ოთეურიძე ტიხონ, (ეგზამენი უნდა დაიჭირონს სულ-მოორედ).

(1—1)

მე დავკარგე თბილისსა და ქუთაისს შუა ატესტატი ქუთაისის სასულიერო სასწავლებლიდამ მოცემული. მპოვნელსა ესთხოვ წარმოადგინოს ბერეთის ეპარხიის კანცელარიაში და საჩუქარს მიიღებს. ბესარიონ ქობახიძე. (3—1)

ინგლისის მაღაზია

Maison de confiance

| შეადარეთ ჩვენი ჩაი | | |